



# გზაგადასახლება

№ 1.

F.16.98

გაზეთის ფასი: ერთი წლის გაგზავნით და გაუგზავნებლად — სუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწევისის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Во мѣстечко Шоропанъ. Въ редакцію „Мѣстичко“ (Пастыр).*

განცხადების მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღებიან აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებების დარიგებას გაზეთთან.

რედაქცია მიეზღება დაბა შორაპანსში რედაქტორის საყუთარს სანდში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელიც რედაქციაში იქნება გამოგზავნილი დასაბეჭდათ უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყენენ ავტორთაგან სულ მოწერილი. და თუ ავტორებთა თვის ვინაობის გამოცხადება არ სურსთ რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდოს. სტატიები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან სხვა თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაბრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზე დაწერილიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

**შინაარსი:** განხილვა უწმინდესი სინოდის — სახლი წელიწადი. — შვიტრების სასოჯადო ბინის დაქმნებას ეთხოვისა გამო. — წინაღობა სინოდის მიერ. — სხვა და სხვა ამოები და შენიშვნები. — ყურად გასეთვითა მიმთხლავს. — სიტყვა, თქმული იმართის ეპისკოპოსის განთქმის მიერ. — სახე უფლის იესო ქრისტე. — დეკრები: დეკრები, სამტრეკისე სურათი. — მართლ-მადლებული ეკლესიის დეკრები-მსახურების ტიპოგრაფის ეთხოვების აღხსნა და განმარტება. — რედაქციის პასუხი. — კლერის რედაქცია ცნობები. — ანგარიშები.

## მ. უ. ი. ციხაძის ნაწილი.

### I. განათმობის საზღვარი.

#### განხილვა უწმინდესი სინოდისა.

19 ოქტომბერიდან — 22 ნოემბერიდან 1883 წლის № 2102 უფიქსი სინოდში გასულთა თხოვნათა და საჩივრათა შინაარსი და უმრავლესობათა ან მთავანობიან კანონის მოთხოვნათა.


ოქტომბერიდან მინის იმპერატორებთან დიდებულებითა უწმინდესი და უმრავლესობის სინოდის, შემდეგ მსჯელობის შესახებ შინაარსისა და ფორმისა ზოგიერთთა თხოვნათა და საჩივრებთა, შემოხვლათა სხვა და სხვა ზიროვან, ბრძანებს: საქმის წარმოებისაგან სინოდის განცხადებისა შინა იხედება, რომ მრავალნი ზირონი, როგორც სასულიერო აგრეთვე

საერო წოდებთაგანი, ძლიერ სშირად მოიქცევიან უწმინდესი სინოდისადმი თხოვნებით და საჩივრებით შინაარსი და ფორმა რომელთა არ ეთანხმებიან კანონის მოთხოვნებთან: 1) ზოგიერთნი მოთხოვნილი, წინააღმდეგ კანონის აზრის სტ. 204, X ტომისა, II ნაწილის საძიქ. სჯულად. გამოცემულთა 1876 წელს, სწორედ თხოვნებში და საჩივრებში საწინააღმდეგოდ, განსაკიცხავ და ხან-დის-ხან უმეგრ სიტუაციებს. მოხდება სშირათ, რომ ზირონი, რომელიც ვუთხარის ეკლესიის კრებულთა, ჰბედავენ ამ უწმინდესი და უმრავლესობის სიტუაციის გამოთქმას ეპისკოპოსებზე. 2) ჰგზავნიან თხოვნებს სსჯების მკაცრ ვეჭილობით, ანუ მინდობილებებით, მკრამ ან სრულებით არ წარმო-



ადგენენ ვეილობათა, წინააღმდეგ 14 ჰუნტ. 224 სტ. X ტომ. II ნაწ., ანუ წარმოადგენენ ჯეროვანად დაუბეჭდებელთა. 3) ზოკიერთნი გამოცხადებულნი რა თხოვნათა, არ აწერენ თანახმად 206 სტ. X ტომ. II ნაწ., თვის სახელს, მამის სახელს, ვაზრთა და წოდებათა, აგრეთვე არ წერენ თავიანთ წოდებას და ცხოვრების ადგილთა, ანუ აწერენ, მაგრამ ისე ცუდით და კურჩხვლად, რომ შესაძლო არ არის მათი წაკითხვა; ბოლოს აღმოჩნდება ხოლმე, რომ ამისთანა თხოვნები და საჩივრები არიან შემოსულნი გამოგონილი სახელებით, ანუ განკებ არის დაფარული სახელი და ცხოვრების ადგილი ამისთანა მთხოვნელებთა და მომხივებთაგან. 4) ზირნი, გადაძწერნი ანუ ხელის მოძწერნი თხოვნებზე მთხოვნელთა უწერილობისა გამო, არ ასრულებენ მთხოვნელობათა 205 სტ. X ტომ. II ნაწ., რომლითაც ითხოვება, რომ უნდა მოაწერონ იმ თხოვნებზე სახელი, მამის სახელი, ვაზრი და წოდება კარდამწერთა ანუ უწერლობისაგამო ხელის მოძწერთა. 5) შემოდინ უწმიდეს სინოდში თხოვნები სამღვდელთა მსახურებთა ძრეველისაგან გადაყენებაზე და ძრეველში სამღვდელთა მოსამსახურეთა დანიშნაზე, რომელთანაც წარმოითქვინებინ სასოკადრებისაგან შედგენილნი განჩინებანი ამისთანა გადაყენებაზე და დანიშნაზე, რომელთაც არა ვითარი მნიშვნელობა არა აქვს ამისთანა საქმეებში, ძლისა გამო 2196 და 2198, 2 ტომ. I ნაწ. გამოცემულის 1876 წ. მით უმეტეს, რომ, როგორც ზოკიერთ შემთხვევაში აღმოჩნდა, ამისთანა განჩინებაში ნაჩვენებთა ზირთა კითხვის დროს განაცხადეს, რომ მათ სრულებით მონაწილეობა არ მიუღიათ და უარს ჰყოფენ ამისთანა განჩინებათა. 6) საეკლესიო კრებულთა ზირნი მოქცევიან არა იმეთოდ წინა-

აღმდეგ 70 სტ. სასულიერო კანსისტ. წესდებისა, გამოცემულის 1883 წ. (სტ. 74, 1841 წ. გამოც.) არა ეპარსიის ძველელ-მთავრისადმი, არამედ ზირ-და-ზირ უწმიდეს სინოდში თხოვნით სამღვდელთა და საეკლესიო მოსამსახურის ადგილებთა ეპარქიებში, ანუ ჩივიან, რომ მათ არა სურსა დანიშნული მათადმი ადგილები. იცნობს რა ვეგლას ზემო მოხსენებულ თხოვნებს და საჩივრებს წინააღმდეგ კანონის მოთხოვნელებთა, უწმიდესი სინოდი, განსარჩენებლად, შემდეგ დროში ტყუილ უბრალო მათზე მიწერ მოწერთა, იცნობს მიუცილებლად გამოაცხადოთ საყოველთაო საცნობლად და ბეჭდით „საეკლესიო და მართებლობის უწყებებში“, რომელ ვეგლას თხოვნები და საჩივრები შემოსულნი სინოდში: ა) რომელთა შინა ექმნება არა შესაბამი და ურიგო სიტყვები; ბ) რომელთა ზედა არ ექმნებიან მოწერილნი სახელნი, მამის სახელნი, ვაზრი, წოდება და ადგილი საცხოვრებელი მთხოვნელთა, ანუ არ ექმნებიან ხელ მოწერილნი თხოვნის დამწერთაგან უწერილობისა გამო მთხოვნელთა; გ) შემოტანილნი ვეილობით, რომელნიც დამოწმებულნი არ ექმნებიან ჯეროვანად და დ) რომელნიც ექვემდებარებიან უაზვადციოთ (უჩივლელად) ეპარსიის ძველელ-მთავრებთა კარდამწერს, ექმნებიან დატყვებულნი ამის შემდეგ უუბრალოდ და უწარმოებლად, გამოცხადებთა ამაზე მხოლოდ მთხოვნელთა. ამისთვის ჯეროვანის გამოცხადებისათვის, ეცნობოს „ცეროვანი ვესტნიკის“ რედაქციას დასაბეჭდვით.





არა ოფიციალური ნაწილი.

II განმარტება.

ახალი წელიწადი.

I-ს წინარს. საზოგადოდ მიღებულია ახალი წლის დამდეგს ძველი წლის ანგარიშის გამოაცხადება: მისგან მოტანილი ნაყოფის დაფასება, ანუ განკიცხვა. ჩვენც გადავავლოთ ერთი თვალი ამ წარსულ წელს და გამოვიკვიროთ, რა მოგვიტანა ჩვენ ძველმა წარსულმა წელიწადმა? ჩვენდა სამწუხაროდ, არა თუ მარტო ერთმა ძველმა წარსულმა წელიწადმა, არამედ ორ-სამ წარსულ წლებსაც არა ფერი შესამჩნევი ნაყოფი მოუტანია ჩვენთვის. მთელი რუსეთის სახელმწიფოს ცხოვრებას თავი დაეანებოთ; ავიღოთ მარტკა ჩვენი კუთხე, საქართველო. რაებს ვხედავდით ჩვე წარსულ წელსი? თვალსაჩინოდ ხალხში ზნეობის დაცემას, რომლისაგან გავრცელდა ხალხში: ქურდობა, ავაზაკობა, ტყუილი ფიცი და უბრალო მიზეზებისათვის კაცის ხოცვა; ნიეთიერად სიღარიბეს და სიღატაკეს, წამოდგენილ წამედღურობისა და უთავგალო ცხოვრებისაგან; უბრალო მიზეზებისაგან და დავალიანებას და დავახიანებას; ყოველივე კეთილ საქმეში უთანხმოებას და გულ გრილობას, საოცარ მოუღმომელოებას ყოველივე საკეთილო საზოგადო სასარგებლო საქმეებში და სხვა...

სტორია ვიშტიკებს, რომ, როდესაც ხალხი რაიმე განსაცდელში ვარდება, იქ იბადება: ერთობა; ძმობა, სიყვარული, კეთილ ზნეობა და კეთილისადმი გულმოდგინებით ღტლილილება. ჩვენ წარსულ წელში, სამწუხაროდ, ვერაფერ ამისთანას ვერას ვხედავთ.

ჩვერ შეთვისებულან ერთად: ორი ძმა, ორი მწყერალი, ორი საზოგადო საქმისათვის მოსამსახურე პირი: მოხდა შემთხვევები, ძმამ ძმა მოჰკლა ორი საყენი მიწის გულისათვის. მერ შეთვისებულან ორი გუნთი და ერთი ყურნალი ერთად; არ უთმენსთ გული, რომ ერთი ერთმანეთი არ ღანძიონ უშეგარის ხიტყვებით...

ძომორდა საქართველოს წარსულ წელში დიდი გარის და ჩამომავლობის პირები. შეიქმნა მათზე დიდი წუხილი და ვაება. მამოგვიყრუს ყურები წერით და ლაპარაკით მათ პატრიოტებაზე, მათ მამულის სიყვარულობაზე, გაჭირვებულთა შებრალებაზე და ყოველივე კეთილ საქმეზე გულმუხურავლობით მონაწილეობის მიღებაზე, მათ დიდ და ჰქმარიტ სარწმუნოებაზე, მოყვასთა სიყვარულზე და ქველ საქმეებზე...

სამართო წერილი ბრძანებს: „სარწმუნოება თვინაჲ საქმისა შეკლარ ანს: ჰქმარიტად! ყოველ ხალხში, თითქმის, ჩვეულებათ აქვსთ მიღებულ სიკოცხლში სხვა და სხვა კეთილ საქმისათვის ფულების შეწირვა და სხვა და სხვა საშუალებებით კეთილ საქმეში შემწეობის აღმოჩენა; სიკვდილის შემდეგ ანდრძით ფულების დატოვება ეკკლესიისა და მამულის სასარგებლოდ. იქ ყოველ პირს სასიკადულოთ მიანია ამისთანა კეთილის საქმის აღსრულება. ჩვენში? ლმერთმან დაიფაროს ამისთანა საქმეთაგან ჩვენი მღდარი ქართველები! ნახევარ მილიონის საფასე მამულს უტოვებენ ვილაცა გარეშე მემკვიდრეთა, ისეც მდიდართა, არ რჩებოდათ არც კოლი, არც შვილი და ეკკლესიისა ანუ სკოლების სასარგებლოდ არ დაუტოვებიათ ერთი გროში. თხიანთ აუზარებელი მამულებისაგან საკეთილო დაწესებულებათათვის არ გადაუღვიათ არც ერთი მანეთი. მზათ იყენენ ბანქს თამაშობით ორი თასი მანეთი დაღვლიათ, მაგრამ თავისი ეკკლესიის სასარგებლოდ და მღვდლის სარჩოდ ორ მანეთსეგრ ვაამეტებინებდით.

ღი ამისთანა და სხვა სამწუხარო სურათებს წარმოგვიდგენს ჩვენ ძველი წლის ანგარიშის განხილვა და მისი დაფასება საზოგადოდ.

ძაგარამ ყველა მიეგებება ახალ წელს ახალი უმჯობესი იმედებით და სურვილით. ლმერთმაც ნუ ჰქნას, რომ კაცს ეს იმედები მოშლოდეს. ამისათვის ჩვენც, ჩვეულებისამებრ, მოგილოცავთ ყველას ახალ წელიწადს ახალი უმჯობესი იმედებით.

სირველად მოვიქცევით თქვენთან, მწყემსნო, და ესთხოვთ ლმერთს თქვენს წარმატებას, ბეჭითად და კეთილად თქვენს დიდ მოავლეობის აღსრულებას. ჩვენზეა ეხლა მოქცეული ყველას თვალი. ლმერთი იღვამს ფესვებს ხალხში უზნეობა. დიდი შრომა მოკვლის ამ უზნეობის აღმოსაფხვრელად. ჩვენი მოვალეობაა: ვასწავებდეთ, მღვდელმკამედობდეთ და, უმთავრესად ყველაზე საქიროა, სახედ გქმნეთ ჩვენსამრველთა რელიგიური და კეთილ-ზნეობრივი ცხოვრებითა. ლეთაგებრივმა მწყემსთ მთავარმა დიდ მოვალეობა დასდა ჩვენზე, მწყემსებზე. მან მოკვანიკა ბევრი, მაგრამ ბევრსაც მოითხოვს ჩვენგან. მართლია მძიმე მოვალეობაა ჩვენი მოვალეობა, მაგრამ ღვთის შეწევნით და გულს მოდგინებით დავსძლევთ ყველა გაჭირებას. დაუხალავდეთ ჩვენსამრველთა და დაუმტკიცოთ ჩვენ სიტყვიერთა ცხოვართა კეთილი მწყემსობა, დაუმტკიცოთ მათ, რომ მათი მწუხარებაა ჩვენი მწუხარებაა არის და მათი ბედნიერი და კეთილი ცხოვრება ჩვენი უფუ-

ლითადესი სასიხარულო და სანატრელი სურვილია...  
 ლაუხლოვდეთ სამწყსოთა ჩვენთა და მივცეთ მათ  
 კეთილი რჩევა და დარიგება ყოველსა კეთილსა საქ-  
 მესა შინა. ჟოველთვის გაკვირვების დროს ხალხის  
 წინამძღოლი იყო სამღვდლოება. იქნება სხვა ხალხ-  
 თა და მათ მღვდლებთა შორის იყო და არის სხვა  
 ნაირი დამოკიდებულება, მაგრამ ჩვენ ხალხთა და  
 სამღვდლოთა შორის არასოდეს არ ყოფილა სხვა  
 რაიმე დამოკიდებულება, გარდა მამა-შვილური და-  
 დამოკიდებულებისა. ამისთანა მამა-შვილური დამო-  
 მოკიდებულება აღამაღლებს ხალხს ზნეობითად და  
 გონებითად და მიანიჭებს მას კეთილდღეობას.

**ტ**ქვეცა, სამწყსოთა, მოგილოცაეთ ახალ-წე-  
 ლიწადა და ესთხოვ ლმერთსა, რათა მან მოვანიჭოსთ  
 კეთილ-ზნეობითი ცხოვრება, ცხოვრებაში ზომიერი  
 მოპირინება, სწავლისა და შრომის მოყვარება,  
 ურთიერთ შორის და მოყვასთა მიმართ სიყვარული  
 და თანხმობა, ხოლო შტერთა ზედა ძლიერა და მრე-  
 ვობა და ყოველსა შინა კეთილი წარმატება მრავ-  
 ვალსა წელსა!..

**შაგირდების საზოგადო ბინის აღშენების კითხ-  
 ვისა გამო.**

„ჩუწყების“ მე **№ 3**-ში ჩვენ წავიკითხეთ მ. მ. ვეფ-  
 ხეძის წერილი შესახებ ქუთ. სასულიერო სასწავ-  
 ლებლის შაგირდებისთვის საზოგადო ბინის აშენებაზე.  
 ეს კითხვა ფრად საყურადღებოა ჩვენი სამღვდ-  
 ლოებისათვის და ყველა მოვალეა ამ საგანზე თავის  
 აზრი გამოთქვას. ამიტომაც საჭიროდ ვსთვლი ჩემი  
 აზრი ამ საგანზე სამღვდლოებას გაუზიარო.

**ბ**იდი ხანია მას აქეთ, რაც აღძრულია კითხვა  
 ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შაგირდებისა-  
 თვის საზოგადო ბინის აღშენებაზე, მაგრამ ეს კითხვა  
 ჯერაც არ არის სისრულეში მოსული და, ვინ იცის,  
 რაღის მოვა. აზრი საზოგადო ბინების აშენებისა  
 არ ეკუთვნის თვით სამღვდლოებას. საზოგადო ბი-  
 ნების აშენება, როგორც ქუთ. სასულიერო სასწავ-  
 ლებლის შაგირდებისთვის, ისე სხვაგან საჭიროდ დაი-  
 ნახეს იმ პირებმა, რომელნიცა რუსეთიდან ჩვენი  
 სასწავლებლების სარევიზიოთ მოდიან. ამ პირებთა  
 ძალიან ცოტად იციან ჩვენი ცხოვრება და ჩვენი  
 სამღვდლოების ეკონომიური მდგომარეობა. მართა  
 ამისთანა პირმა, შუთისაში მყოფობის დროს, დაიარა  
 შაგირდების ბინა და, როცა ნახა, რომ ერთ სახლში

შაგირდები ღომას სქამდნენ, განკვირვებით წამოიძახა:  
 „მლე საზოგადო ბინა გაუკეთეთ შაგირდებს და  
 კარგი საქმელები აქამეთ, თორემ ამისთანა საქმლით  
 ყველანი დაიხრცებიან“...

**მ**ე საზოგადო ბინის აშენებაზე ძალიან მოწადი-  
 ნებული იყო განსვენებული ზედამხედველი მ. ასა-  
 თიანი. მას უნდოდა სასწავლებლის მახლობლად  
 აეშენებია ერთი დიდი სახლი, რომელშიაც მთელი  
 ქუთ. სასულიერო სასწავლებლის შაგირდები დატე-  
 ულიყვნენ. ამისთანა სახლის აშენებას ის ძალიან  
 ადვილ საქმედ სთვლიდა! განსვენებული რაჭის და  
 ლეჩხუმის სამღვდლოებას ურჩევდა, რომ მათ ხის  
 მასალა მოეტანათ; დანარჩენს სამღვდლოებას ზოგს  
 კრის მოტანა შეაწერა, ზოგს სილისა და ქვა ხომ  
 ძველ ნაციხვარაზე ბევრი იყო. მანსვენებულმა  
 ამ საზოგადო ბინის აშენებისთვის პროექტიც შეად-  
 გინა, მაგრამ სამღვდლოებამ ეს პროექტი არ მიიღო  
 და სულ უარი განაცხადა საზოგადო ბინის აშენე-  
 ბაზე. სამღვდლოებამ განაცხადა მაშინ, რომ ჩვენი  
 ერთი სასულიერო სასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს  
 ყველას და ამიტომ ჩვენ ვერ საჭიროდ ვხედავთ  
 მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გახსნას და  
 მერე, როცა შეძლება ნებას მოგვეცემს, ჩვენ თვითონ  
 ვიხრუნებთ საზოგადო ბინის აშენებაზე.

**ტ**ოგორც ვიცით, სამღვდლოებას ქ. თბილის-  
 შიაც უნდოდა საზოგადო ბინის აშენება შაგირდ-  
 ბისთვის, მაგრამ ვერ მოახერხეს, თუმცა თბილისში  
 მეტად საჭიროა ოთხ-კლასიან სასწავლებელთან  
 ამისთანა ბინები, რადგან შაგირდები დაზნული  
 არიან ქალაქში და ამ ფერი ცხოვრება მაინცელია  
 შაგირდების ზნეობისათვის. არამც თუ ჩვენს საქარ-  
 თველოში, რუსეთშიაც ბევრგან არ არის ამისთანა  
 ბინები ოთხ-კლასიან სასწავლებლებთან, როდესაც  
 რუსეთის სამღვდლოება თავისი ნითიერი მდგომა-  
 რეობით წინა სრგას ჩვენსაზე და მათ უფრო შეძ-  
 ლება აქვს, რომ საზოგადო ბინები შეირიანდ  
 მოაწყონ.

**ჩ**ითხვა საზოგადო ბინის აშენებაზე თითქმის  
 დავიწყებულად მიიჩნდა ყველას; მაგრამ ეხლა გა-  
 მოჩნდნენ ისეთი პირნი, რომელთაც ისევ აღძრეს  
 ეს კითხვა. ჩვენ ძალიან გვიკვირს ამ პირებზე საქ-  
 ცილი, რომელნიც წინეთ, განსვენებული ასათიანის  
 დროს, წინააღმდეგნი იყვნენ საზოგადო ბინისა და  
 ეხლა კი მეცადინობენ და სხვასაც აგონებენ საზო-  
 გადო ბინის აშენებას.

შის მაგიერ რომ ამ პირებმა თავისი შედგენილი  
 პროექტით გაავებინონ სამღვდლოებას შემდეგი:



რამდენი ფული ჩვენმა საქირო საზოგადო ბინის აშენებისათვის? როგორ უნდა იცხოვრონ ამ ბინებში შვირდებმა? მათ ერთნაირი საქმე-სასმელი უნდა ექმნეს, თუ ყველა შვირდელმა თავ-თავისთვის უნდა იქონიონ ხარჯი და ამხადონ საქმელი ცალკე? ანუ როგორი წესით უნდა იცხოვრონ მათ? ამის მაგიერ წარმოდგებიან ზოგიერთი პირი და ურჩევენ სამღვდლოებს, რომ მათ საზოგადო ბინები გააკეთონ, როდესაც თითონაც არ იციან, თუ როგორ უნდა იყოს საზოგადო ბინები მოწყობილი და ამიტომაც პირდებიან სამღვდლოებს, რომ მათ თითო შვილის შენახვა თვეში სამი-ოთხი მანეთი მეტი არ დაუჯდებათ. ზოგიერთს ჰკონია, თუ სამოთხ ოთახიანი სახლი გააკეთა საზოგადო ბინისთვის სამღვდლოებამ, ზეით და ქვეით ქერი გაუკეთა და შერევა შიგ შვირდები, ამით სწავლის საქმეც კარგად წავა და მღვდლებსაც სამი-ოთხი მანეთის მეტი არ დაენახება თითო შვილზე თვეში!..

ერთი საზოგადო ბინა საქმით არ არის, რომ მითი გაააუმჯობესოთ ჩვენი შვილების მღვდლოებაც და ჩვენი მღვდლები შვილების შენახვაზე იოლად გამოვიდნენ. საზოგადო ბინის სახლი, იქნება ისაშუქებული მთელი სასწავლებლად ოლქის სამღვდლოებისაგან, თუ ცალკე თითო საბლოკში მღვდლებისაგან, უნდა იყოს აშენებული სასწავლებლის დასამხარ ადგილას; ოთახები მასში უნდა იყონ დიდნი და კარგად მოწყობილი. თითო შვირდელზე უნდა იყოს გადაწყვეტილი გადასახდი ფული; ყველა შვირდელს უნდა ჰქონდეთ ერთი საზოგადო სამზარეულო, რომელშიდაც ყველას უმზადდებდნენ ერთნაირ საქმელს, უნდა ჰყავდეთ შვირდებს რეპეტიტორი და ყურის მგდებელი. ჭველა ამას უნდა ფულები და ჩვენს ღარიბ სამღვდლოებს ამისთანა უბრალო საზოგადო ბინის მოწყობაც არ შეუძლია. შეიძლება, ერთმა შვილის მამამ რამე მოახერხოს, მაგრამ რა ჰქნას იმან, რომელიცაა მუთ. სასულიერო სასწავლებელში სამი და ოთხი შვილი ჰყავს.

ხარება, რომ სამი და ოთხი მანეთით გამოვიდოდეს კაცი თითო შვილის შენახვაში, მაგრამ რომ ეს ფულები საქმარისი არ არის, ამის დასამტკიცებლად მოვიყვანო შემდეგ ჭაქტს: მუთისის სასულიერო სასწავლებელში არის პანსიონი, სადაც ოცდა ათამდე არის შვირდი. თითო შვირდელზე თვეში დადებულია ხუთი მანეთი. ამავე პანსიონში არის ათორდე შვირდი, რომლებზედაც წელიწადში არის დადებული თორმეტ-თორმეტი თუმანი. ამ პანსიონის შვირდებს სამღვდლოებაც წელიწადში

თითქმის 500 მანეთამდე ეწევა თავის ჯიბიდან. მიუღს წელიწადში შვირდები პანსიონში რჩებიან ცხრა თვე.—ხარჯი კი წლის ეძლევათ. მალა შევადაროთ პანსიონების ცხოვრება, მათი ზნეობა, გონებითი გახსნილობა და ჯანის სიმართლე გარეშე შვირდების ცხოვრებას, ზნეობას, გონებითი გახსნილობას და ჯან-მართლობას. სამუშებაროდ, ენახათ, რომ დიდ განსხვავება არ არის! ამისათვის ვამბობთ, ზოგი ვაჟ-ბატონები ძალიან მოტყუებულნი არიან, როცა ამდენ სიკეთეს მოკლიან საზოგადო ბინებისაგან!..

ჩვენ ავიღოთ ის პანსიონები, რომლებს შენახვით აუარებელი ფული იხარჯება და შვირდებიც კარგად არიან შენახულნი, მაგრამ იმ პანსიონებშიც იმავე ნაკლუანებას ვხედავთ, რასაც ვხედავთ იმ ღარიბ პანსიონებში, სადაც შვირდელზე თვეში ხუთი მანეთია დანიშნული.

ძამ სამღვდლოებამ ეს საქმე კარგად გაიგოს და შემდეგში მოტყუებული არ ღარჩეს, უნდა დაიქირაოს სასწავლებლის მახლობლად ერთი დიდი სახლი, რადგან ამ სასწავლებელთან სახლები ძალიან იაფია; დააყენოს შიგ შვილები, იანგარიშონ, რამდენი დაეხარჯებათ წელიწადში თითო შვილზე და თუ სასარგებლო იქნება საზოგადო ბინა მათი შვილებისათვის, მერე შეუდგნენ მის კეთებას.

მასთანავე არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არა ესთქვა კიდევ მუთ. სასულიერო სასწავლებელზე ჩვენს სასულიერო სასწავლებელში თითველს კლასს მეორე განყოფილება აქვს და სულ სასწავლებელში თითხმეტი განყოფილება არის. თითო განყოფილებაში ორმოცდა ათი და სამოცი შვირდია. ძანონით კი ყოველს განყოფილებაში ორმოც შვირდელზე მეტი არ უნდა იყოს. ღღეს მისმა მალად შოვლად შამღვდლოებსობამ საქართველოს შესარხოსმა პავლემ ჰქენა განკარგულება, რომ თითველ განყოფილებაში ორმოცზე მეტი შვირდი არ უნდა იყოს. მართალია, ამ მოწყობილობით არ შეიძლება ზედა კლასებიდან მეტი შვირდელი დაეთხოვოთ, მაგრამ სასწავლებლის სამართველო მიღების ღრღს მაინც იხეღმღღეანიღებს ამ მოწყობილობით და ორმოცზე მეტს არ მიიღებს ძირა კლასებში. მაშინ ბეგრი სამღვდლო პირის შვილები ღარჩება მიუღებელი სასწავლებელში და მოაკლდებიან სწავლა-განათლებას. ამ შემთხვევაში სასწავლებლის გამგეობა ეღღებუღია გაავღებობს ეს სამღვდლოებს და წინადღება მისცეს მათ მეორე ოთხ-კლასიან სასწავლებლის განსწახვა. მითი კრების ღღოს, ვგონებ, სამღვდლოებამ კიდევ



გადაწყვიტა მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გახსნა, მაგრამ ეხლა ეს კითხვა დავიწყებულია. მე მგონია, რომ ეხლა დროა, მეორე სასწავლებლის გახსნაზე იზრუნოს კაცმა და არა საზოგადო ბიზნისის აშენება უჩიროს იმერეთის სამღვდელთაგანს.

**წერილები ათონის მთიდან.**

ქართველთა მეფეთა და ხალხთა ძველი დროი-  
დამ მიუტკცევით ყურადღება წმიდა ადგილებისათვის  
და ამიტომ იერუსალიმში, ათონის და სინას მთაზე  
შეუძენიათ ადგილები და დაუმკვიდრებიათ მონასტ-  
რები. ძველად ძველ ქართველთათვის ეს წმიდა  
ადგილები ძვირფასი საუნჯეს შეადგენდნენ და არა-  
ფერს არ ზოგავდნენ მათ შესამკობლად და გასამ-  
შენიერებლად. ამათ ღიდი ადგილები შეუძენიათ  
ათონის მთაზე და სხვა ადგილებშიდაცა. მაგრამ,  
სამწუხაროდ, ღღევანდელი მდგომარეობა საქართვე-  
ლოსი სულ სხვა არის, ატარე ხალხი ემსგავსება  
ძველ ქართველებს და აღარც მათი შეხედულებმა  
ძველი ქართველების შესწავლენას. მაგრამ არ  
მჯერა, რომ კიდევ არ იყვნენ ჩვენში მრავალნი  
პირნი, რომელთაც არ ესიაზღვნოს მოთხრობა ამ  
ჩვენ გარეშე სამძღვრების ივერიის მონასტრებზე.  
თუ თქვენც ნებას მომცემთ, ბ. რედაქტორო, მე  
ვეცდები დრო და დრო შეეატყობინო თქვენი გაზე-  
თის მკითხველებს ჩვენი ათონის ივერიის მონასტ-  
რის მდგომარეობა და ის წვალება, რომელიც ღღეს  
ბერძნის ბერებისაგან ჩვენ გადავცა. \*)

„ბერძნის“ ვაზითიდა შეიტყობდნენ ყველანი,  
რომ ბერძნის ბერები ყოველნიარ საშუალებას ხმა-  
რობდნენ, რომ განაძიონ ათონიდან რუსის და ქართვე-  
ლების ბერები და დაისაკუთრონ ქართველთა ივე-  
რიის მონასტერი ათონის მთაზედ. ამასუდ ჩემის  
წინამძღოლობით ასტყდა საჩივარი. საჩივარმა, რო-  
გორც იქნა, მითანა ხელმწიფე იმპერატორამდის,  
რომელმანაც ბრძანა საქმის გარემოების შეტყობა.

ჩემი ბერების მხრით ვეჭოლე და საქმის წამ-  
ყვანა ბერძნის ახხიმანდრიტი ბერასიმე. ამან მიარ-  
თვა თხოვნა რუსეთის ხელმწიფის შინაგან საქმეების

მინისტრს, რომელშიცა შემდეგსა სწერდა: „ივერიის  
მონასტერი, როგორც არის ღღეს ათონის მთაზედ,  
არის დაწყებული მეოთხე საუკუნეიდან.

ღღვენებულია იგი პირველ ქრისტიანე იმპერა-  
ტორის ძონსტანტინესაგან. ეს მონასტერი პირველად  
იწოდებოდა კლემენტინის მონასტრად. ბარნა მეც-  
ხრე საუკუნის ნახევარში მოვიდნენ აქ სამნი ღღედ-  
ბულნი პირნი ქართველნი, რომელთაც მოახერხეს  
მიზანტის იმპერატორთა ყურადღების დამახუნებმა  
და მიიღეს ღიდი შეწირულება მათგან და ამ მიზან-  
ტის იმპერატორთა შეწირულებათა წყალობით  
გაამშვენებდნენ და დაუდევს საფუძველი ივერიის  
მონასტრის შემდეგი არსებობისათვის. მეცხრე საუ-  
კუნის დასაბოლოებამდე იყო და მონასტრის სახელად  
ივერია. სახსოვრად ამა ქართველთა ღღედბულთა  
პირთა—ბერებთა. მიზანტის იმპერატორების წაბაძ-  
ვით შესწირეს რაოდენობა ამ მონასტრის ქართველ-  
თა მეფეებაც. მაგრამ შემძლია დამტკიცებით ესტყვა,  
რომ ეს მონასტერი არასოდეს არ ყოფილა განსა-  
კუთრებით ქართველთა ბერთა გამგებაში,—  
და უეჭვტად ვიგერელების მფლობელობაში, რომელ-  
თაც არა ვითარი შეწირულება არ მოუძღვისთა წინ.  
ამის დაამტკიცებლად შემძლია მოვიყვანო მრავალ-  
ნი ისტორიული ფაქტები, მაგრამ არ მსურს თქვენი  
ძვირფასი ყურადღება შევაწუხო ამით. მე მხოლოდ  
საკმაოდ მიმანა ზემო ნათქვამიცა. ამ სახით ივე-  
რიის მონასტერი არა უარ ჰყოფს იმას, რომ მას  
შინა სცხოვრებდნენ ქართველნი ბერები, მაგრამ  
ისინი თვითონ არ განაგებდნენ მონასტრის საქმეს,  
არამედ ემორჩილებოდნენ მონაგალო მონასტრის  
წესდებას და არასოდეს საკუთრებაზე ხმა არ ამო-  
ულიათ. ზეაროსების პოხოდის შემდეგ ქართველთა  
ბერების რიცხვი ძლიერ შემცირდა და, შემდეგ მი-  
ზანტის იმპერიის დაცემისა, სრულებით მოიხსრა, ასე  
რომ ხუთი საუკუნის განმავლობაში მონასტრის  
გამგება, როგორც აღმინისტრაციულად აგრეთვე  
სასულიერო მხრით, ეკუთვნოდა და ეკუთვნის მართა  
ბერძნებს. უნდა შევნიშნოთ აქ, რომ ძმათა შორის  
ივერიის მონასტრისა არიან რამდენიმე ქართველნი,  
მაგრამ ისინი ემორჩილებიან მონასტრის საზოგადო  
წესდებას და არ თხოულობენ იმას, რასაც ითხოვს  
ბერი ბენედიკტე, თუმცა მათ უფრო აქვთ უფლება  
მოითხოვონ, ვინემ ბენედიკტემ, როგორც მეგრებმა,

ითქვით თუ გინდ, რომ ივერიის ათონის მონ-  
ასტერი აღშენებულ იყო ქართველთა ბერთაგან,  
მაგრამ უნდა მივიღოთ სახეში ის, რომ ივერიის  
ათონის მონასტერი არის მიზანტის იმპერიის სამ-

\*) ჩვენ ღღეს სიამოვნებით დავუჭადვთ ყველა ამ გარ-  
ცნობებს ჩვენს გაზეთში იმ დარწმუნებით, რომ ყველასთვის  
ეს ამაზე სისაიმოვნო იქნება, სჯირობა და სასარგებლო ჩვენი  
ისტორიისათვის.

რედაქტორი.



ძღვარში და სხვა-და-სხვა პოლიტიკურ ღელვათა და არეულ დარეულობათა გამო ეს მონასტერი იყო აზრებულო ზღვის ავახკებაგან და რამდენჯერმე სრულებით დანგრეული იყო და გადამწვარი. ჰაველ ამისთანა უბედურების შემთხვევის-დროს მონასტერი კეთდებოდა ყველა ქვეყნის ქრისტიანთა შეწირულებათაგან. მოვიყვან აქ 1864 წელში ცეცხლის გაჩენას, რომელმანც სრულებით გააქრო ყველაფერი, მაგრამ მონასტრისავე საშუალებით და კეთილთა პირთა ქრისტიანთა შეწირულებით აღშენებულ არს და შენდება დღევსცა. აი, თქვენო მაღალ ბრძანებულებავ, როდესაც რაიმე უბედურება ჰქვევია მონასტერს, ყველას მიუღია მონაწილეობა მის აღშენებაში და ყველამ რომ თავისათ დაიჩემოს ეს მონასტერი, ძნელი იქმნება ამ დავის გადაწყვეტა.

შნლა მომეცით ნება შევეხო ბერის ბენედიქტეს დავას და საჩივარს. არ არის დიდი ხანი რაც ის აქ, ამ მონასტერში მოვიდა და თან მოვიყვანა რამდენიმე ძმანი. მან ითხოვა ივერიის მონასტრის ძმათაგან, რომ მიეცია ნება ამ მონასტრის სამძღვარში ეცხოვრა თავიანთ ძმებითურთ. ძმობამ არა თუ არ უთხრა მას ამაზედ უარი, არამედ მისცა უფლება გაცემუბნა კელია და ეცხოვრა, მაგრამ იმ პირობით, რომ დამორჩილებოდა საზოგადო მონასტრის წესდებას, რომელიც არსებობს მონასტრის დაწყობიდან. ძელია, რომელიც მას მიენიჭა, არის ერთი მდიდართა კელიათაგანი, რომელსაც აქვს მშვენიერი ბღი და შრავალი ზეთისხილის ხეები, რომლითაც უზრუნველია კელია საჩივოს მხრით“.

ეს თხოვნა ბერძნის არხიმანდრიტისა, რომელიც მან მიართვა ჩენი რუსეთის ხელმწიფის შინაგან საქმეთა მინისტრს და რომელშიაც პირველად ყველა ნათქვამს მართლად დაინახავს არა შორს გამკვერტი მკითხველი. სამწუხარო ყველაზე მეტად ის არის, რომ ამ პატრისანმა პირმა ან არ იცის ათონის ივერიის მონასტრის ისტორია და ან იცის, მაგრამ თავის მიზნის აღსასრულებლად განგებ უყოცინარად იჩენს თავს. ორივე შემთხვევაში დიდი დანაშაულია მამა არხიმანდრიტი ბერასიმე.

ყველა მისი სიტყვები, რომ დავარღვიო მე უნდა მოვიყვანო აქ მოკლე აღმოწერილი ცნობები ქართულ მატრიარქებსაგან ივერიის ქართველთა ათონის მონასტრზე: ამ მატრიარქებამ ჩანს, რომ ექსკლავის ბოზმოცსა წელსა, დროსა მეფობისა ქონსტანტინე პოლიოპატისა იქმნა მიექმე მსოფლიო კრება. ამ კრებაზე დადგინდა, სხვათა შორის, მუხლი 18 და 42, რომ მეფემ მისცა ყველა ქრისტიანთა ბერთა

ნახევარი კუნძული ათონის შიოსა, იმ დროს აზრებულო არაბებისაგან. ძრისტიანთა ბერები ვანეულ იყენენ ყოველ მხარეზე კუნძულებში და ალაგებში და მოკლებულნი მეფეთა მფარველობას; ხშირად უწყალოდ იხოცებოდნენ ბარბაროსთაგან და საზოგადოდ დიდ დევნულებში და მწუხარებაში იყენენ. ამისათვის კრებამ მიაკეთა ამას ყურადღება და იშუამდგომლა მეფესთან ათონის ნახევარი კუნძულის მთლამი მიცემა...

ათონის ივერიის მონასტრის ბერი ბენედიქტე.  
(გაგრძელება შემდეგში).

სხვა და სხვა ამბები და შენიშვნები.

შესანიშნავი მოთხრობა ძიევის მიტროპოლიტის პლატონისა.

ჩარსულ წელში, მოგზაურობის დროს, მიტროპოლიტი პლატონი ერთ მონასტერში დარჩა, სადაც იქ შეკრებილ რამოდენიმე სასულიერო პირებს უთხრა შემდეგი შესანიშნავი ამბავი: „მე ვნახე ერთი შემთხვევა, როდესაც სხვა კაცის ჩრდილი დავინახე ისე ცხადათ, როგორც თქვენ გხედავთ ესლა. მას აქეთ ავერ ოცდა ათი წელიწადი იქნება. მე ვიყავი პეტერბურლის აკადემიის ინსპექტორათ; რექტორათ იყო ბენედიქტე, რომელიც ბოლოს ოლონეცკის მისკოპოსათ იყო. მე ყმაწვილი ვიყავი. ჩენს აკადემიაში იყო ერთი სტუდენტი ძრილოვი ჩრლოვის სემინარიიდან. მე მას ვიცნობდი მაშინაც, როდესაც მასწავლებლად ვიყავი ამ სემინარიაში. სწავლობდა ის არა ცუდთ, მაგრამ მშვენიერი ყოფა ქვეყის იყო. მართელ მოვიდა ჩემთან და მთხოვა ნება მიმეცა საავთმყოფოში წასვლისა. მე შევხედე, რომ შეწუხებულის სახის იყო და გავგზავნე საავთმყოფოში. მაიარა რამოდენიმე დროამ და მე მაზედ არაფერი შემეჩვიცია. მართხელ მე დივანზე ვარ წამოწოლილი და წიგნს ვკითხულობ. წიგნის კითხვას თავი დავაწებე და დივანთან სტოლი დგდა და იქით მივიხედე. შევხედე, კაცი სდგას. თვალზე მოვიხევი ხელი და ვიფიქრე სიხმარში ხომ არა ვარ მეთქი. შევაჩერდი და ვხედავ, რომ სტუდენტი ძრილოვის სახე არის გაჩერებული და პირდაპირ მიყურებს მე. მე გავოცდი ძლიერ. პატარა ხანს იქით ვს მოჩვენება გაქრა. ამ მოჩვენების ფიქრში რომ ვარ, კარებს მთარაყუნა სტოლოკმა. მე მივეცი ხმა; მან მითხრა: „პლატონა

ძრილოგი მოკვდა, ლმერთს სული მიჰაბარა. მაშინვე წავიდი საფაფურაფრაში, სადაც მართლა ვნახე, რომ ხუთი მინუტის წინ გარდაცვლილიყო. დაასრულა თუ არა ეს მიტროპოლიტიმა, უთხრა იმასთან მყოფეთა პირთა: ეს ამტიკიცებს, რომ არის რაღაცა საიდუმლო კავშირი ჩვენსა, ცოცხალთა და გარდაცვალებულთა სულთა შორის...

\* \*

**28 ჩიკმეგერს ხელმწიფე იმპერატორი** ბრძანებულია სანადიროთ, ცხენებს გაუტანაით და სანა (მარხილი) გადმობრუნებულია, რომელშიაც ბრძანებულია ხელმწიფე იმპერატორი. მარხილის გადაბრუნების დროს ხელმწიფე იმპერატორს მკლავი უღრბოდა; პირველად დიდათ ატიკიენებია მკლავი, მაგრამ მალე გადუღვია ტკივლის. მთელი სხეულის ჯანმრთელობა ხელმწიფე იმპერატორისა ეხლა კარგ მდგომარეობაშიაო.

\* \*

**სირველ** ამ იანვრიდამ, როგორც ამბობენ, იქმნება ჩვენ კავკასიაში სალდათებზე მოკრება იმ წესით, რა წესითაც რუსეთში იკრიბება დღეს. როდესაც ოცი წელიწადი შეუსრულდება ვისმეს, იმას გაიყენებენ სალდათად, ვინც უნდა იყოს. თუ კლასში სწავლობს, მაშინ დააცილიან მას კურსის შესრულებას და შემდეგ უთუოდ გაიყვანებენ. მათს არხივებისკაბოსს შეუტანია აზრი უწმიდის სინოდში იმის შესახებ, რომ სემინარიაში კურს შესრულებული მაშინვე არ უნდა იქმნეს გაწვეულნი სალდათად. სემინარიელი თუ გაწვეული იქმნა სალდათად და ჩხუბში დაესწრო, მას ეკკლესიური კანონებისამებრ შემდეგ არ უნდა მიენიჭოს მღვდელობაო. ამისათვის ამ არხივისკაბოსის აზრით საუფჯობესოა, დადგინდეს კანონათ, რომ სემინარიელი, თუ აკადემიაში არ შევიდეს სემინარიის კურსის გათავების შემდეგ, ოცდა ხუთ წლამდე არ იქმნეს სალდათთ გაყვანილი. თუ ამ დროში მღვდლათ არ იქმნა სალდათი ნაკურთხი, მაშინ იქმნეს გაწვეული სალდათათი. იმედია, რომ წმიდა სინოდი ამ აზრს შეიწყნარებს და ეცდება მოშალოს ის მუსხლი სამხედრო მოთხოვნისა შესახებ სემინარიელთა, რომლითაც ყველა სემინარიაში კურს შესრულებული ვალდებულია სალდათთ შევიდეს კურსის დასრულებისათანავე.

\* \*

**ჩაკვასის სამსწავლებლო ოლქის მხარუნელი,** როგორც ხმები ისმის, შუამდგომლობს მართებლობასთან, რომ გაიხსნას ორ-კლასიანი სასწავლებლები ვაყებისა: მთილისში — ორი და თითოეული ქლისავეტოპოლში, პრივანში, ბაქოში, მუთისში, შილადიკავკასში, შორში, მთელავში, სიღნაღში, შუშაში და ნუხში. ამასთანავე ქალების ორ-კლასიანი შკოლაც უნდა იყოს ზემო აღნიშნულ ადგილებში თითო. სწავლა ამ სასწავლებლებში უნდა გაკრძედიდეს ხუთი წელიწადი; მაგრამ ქართული ენა, სამწესხაროდ, პირველი კლასის პირველ გაწყვილებამაში უნდათ მართა შემოიღონ და ისიც, ალბათ ნახევარი წლის განმავლობაში. ამას გარდა ის აპირებს კიდევ გახსნას სამ-კლასიანი ქალაქის შკოლა ორი მთილისში და ერთი ბაქოში.

\* \*

**შიდი ხანი** არ არის, რაც გული მოიბრუნეს საეკკლესიო სამრევლო შკოლებზე და დაჰკარგეს ის შემედარი აზრი, რაც აქნობამდისინ ჰქონდათ ზოგიერთ სახალხო შკოლების დირექტორებს. ამ წელში უშაღლესის მართებლობის ბრძანებით ორმოცდა ათი ათასი მანეთი გადაეცა უწმიდეს სინოდის სამრევლო სკოლების გასახსნელად. ზოგიერთი ეპარხიებიდამ მღვდელ-მოთვრებმა მოითხოვეს რამოდენიმე ათასი მანეთი სამრევლო სკოლების გასახსნელად და შესახანავად. იმედია, რომ ჩვენი საქართველოს მქაზნის მალალ შკოლად უშამღვდელთაგისი პავლე მოითხოვეს რამდენიმე ათას მანეთს ამ ფულლებიდან ჩვენი სამრევლო სკოლებისათვის, რომელთა დაარსებას ასე საქირიებს საქართველოს ხალხი, სადაც ზნეობა ასე თვალ საჩიროდ ეცემა.

\* \*

**ჩიტი** ცამეტი წლის ბავშვი, რუსისა ყაზახის შვილი, გვართ სოლნიშკინი, რომელსაც მოუწადინებია მუსიკის სასწავლებელში შესვლა, პეტერბურგში გააპრულა სახლიდამ და ორი ათასი ვერსი გაუფლია ქვეითათ. ის დადგომია რკინის გზას და მისულა ქვეითათ მოსკოვამდინ და აქედამ გზა ტკეცილით წასულა. გზაში რომ საჭმელი შემოაკლდებოდა თურმე, ითხოვდა და, როგორც იმოვიდა, წავიდოდა ქვეით. ამ სახით ხუთი კამეით გასულა სახლიდამ და მიუწვია პეტერბურგში. პეტერბურგში შეხვედრია ერთი კეთილი კაცი, რომელსაც პური მიუტია და მიუსწავლებია უწმიდესი სინოდის მღერ პროკუ-



რორთან, ბ. პობედონოსცევიან. ბ. პობედონოსცევის მიუღია ეს ყმაწვილი თავის მფარველობის ქვეშ. მით კვირეს იქით ყმაწვილს შექნია ხურცება და ბ. პობედონოსცევის გაუგზავნია სასახლის საფათმოყოფოში. მხლა ყმაწვილი მორჩენილა და კარგად არისო.

\* \*

ჩვენ გვატყობინებენ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლიდან, რომ ამ სასწავლებელში მისულა ახალი ზედამხედველი ბ. ზრიაზნოი და სასწავლებლის ჩაბარების დროს აღმოუჩინა ათას ხუთას მანეთამდე ცუდად დაზარალებული ფულები. ბი ჩენი წინა №-ში გამოთქმული სიტყვების ახალი დასამტკიცებელი ფაქტებიც. საჭიროა, საჭირო ფიტცელი ზედამხედველობა იყოს დანიშნული ფულების ყუთებზე... ღიდი ხანია, რაც ფულების ხარჯვის „ხურცება“ განდა და ერთი კაცისაგან სხვებსაც გადაედვა. ეს სწება ყველას ეყრება და ამიტომ სიფრთხილე მართებს ყველას.

\* \*

27 ჩემგებრს სულთანის სასახლიდან ღამით, ჩვეულებისამებრ, გამოეცხადა იერუსალიმის პატრიარქს ნიკოდიმეს, რომ მის ღიდებულებას სულთანს ნებაეს პატრიარქის მიღება და ნახვა. მეორე დღეს პატრიარქი დანიშნულ დროზე უფრო ადრე მივიდა და შევიდა ძირა პალატში, სადაც დახვდა მას ობერ-კამერ-იუნკერი მსმან ბეი; ამან უბოძა პატრიარქს სულთანის სახელით ორდენი პირველი ხარისხისა მედქიდიე. ბოლოს სულთანს ჩაეიდა მასთან და პატრიარქთან დაშთა ოცი მინუტი. პატრიარქმა უთხრა მას შესხმა თათრულ ენაზე და მიართვა კიდევ. ბოლოს გამოეთხოვა პატრიარქი და წავიდა თავის ბინაზე.

ღმის შემდეგ სულთანმა მალე გამოუცხადა მსოფლიო პატრიარქს, რომ მისი სურვილია, რათა მართლმადიდებელი ეკლესიების საქმეებს განაგებდეს სულთანის მართებლობა. ამან ღიდი უკმაყოფილება გამოიწვია სასულიერო წოდებაში და არის ერთი ღიდი შფოთი. რით ვათავებდა ეს საქმე ჯერეთ არავინ იცის.

\* \*

ჭიდი ხანია, რაც უწმიდესი სინოდი თხოულობს ცნობების შეკრებას იმისთანა დუქნებზე, რომლებშიაც ღინოა და ფოდკის სასმელები იყიდება და ორმოც საყენზე უმახლობელესად არიან ეკლესიებზე. ითხოვს

აგრეთვე ცნობას, თუ რატომ არ არის ამ საქმეზე ყურადღება მიქცეული ვისგანაც ჯერ არის. ძანონით ორმოც საყენზე ახლოს ეკლესიებზე, მონასტრებზე და სასაფლაოებზე სასმელების დუქნების გახსნა არ შეიძლება.

\* \*

ჭიდი ხანია, რაც კომიტეტი არის დანიშნული, რომელიც იკვლევს იმისთანა ზომებს, რომლითაც ეკლესიის შესავალ-გასავლის ანგარიშის საქმე კარგად წავიდეს. ამ კომიტეტს გაუთავებია თავისი მუშაობა და მალე სხვა წესი იქმნება შემოღებულ ეკლესიის შესავალ-გასავლის ანგარიშისა.

\* \*

ხოფელ ძახთიდან (ზუგდიდის მახრაში) ჩვენ გეწერენ შემდეგ წერილს.

„ხოფელ ძახათისთენ დღევანდელი დღე დასამხსომებელი და ღიდი დღეა; დღეს შეგვისრულდა, ცოტად მიინც, უჩინარი მამულის მოყვარე პირთა წაიღიო. ბქ გაიხსნა სამრევლო შკოლა.

ზუგდიდის ოკრუგის ბლაღოჩინმა, დეკანოზმან მიხაილ მეურარგამ, თანა დასწრებითა ადგილობრივის მღვდლისა ჯავიშიასა და რამოდენიმე გარემე პირთა, გარდაიხდა პარაკლისი ახალ-გახსნლ შკოლაში, რომელიც ჰოვლედ სამღვდლო იმერეთის მისიკოპოსის ბაბრიელის ნება-დართვით გახსნა აქ ბატოცემულმან მღვდლის შეილმან მ. ჯავიშიამ. შემდეგ მოღებნის გარდახთისა დეკანოზმან მეურარგამ წარმოსთქვა რამოდენიმე სიტყვა სწავლა-განათლების მნიშვნელობაზედ, რომელმანც ღიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. სასიხარულოა ეს საქმე მით უფრო ჩვენთვის, რომ აქ ეცრა უშეფლეთ რა სასოფლო შკოლის გახსნას და როგორც ამ სოფელში, აგრეთვე გარემო სოფლებშიდაც არ არსებობდა არა ვითარი სამოსწავლო შკოლა“.

\* \*

ძოგორც გვაცნობებენ თფილისიდან, გალობის აღდგინების თაობაზე დანიშნულა კომიტეტი უწმიდესის საქართველო-იმერეთის სინოდალნი ძანტარის წევრის მამა პრხიზანდრიტის მაკარის თავს მჯდომარეობით. იმეღია, რომ მამა მაკარი ამ ძვირფასს საქმეს არ მოაკლდებს თავის შრომას და ენერგას. ამასთანავე გვაცნობებენ, რომ სხდომებზე იქმნებიან მოწვეულნი



გარეშე პირები, როგორც სასულიერო აგრეთვე სახორცილონი. ესეც უნდა ვსთქვათ, გონიერილი განზრახვა არის. ყოველიფერი საქმე და კითხვა უმჯობესად იქმნება შემუშავებული მრავალთა პირთაგან და უმეტეს აზორდება შეტომებეს.

**შხრალ-გაზომთა მიმოსილვა.**

ერთ რუსულ ჟურნალში „კიევის სტარინა“-ში კვითხულობთ შეძლებს სუფრადღებო ამახვს: „ქალაქ ტულვაში მღვდელ-მთავარ დიმიტრისთან, აწ გარდაცვლდებულთან, მივიდა ერთი ღარბი ქალაქის მცხოვრები დედამც და სთხოვა სესხობით ორი მანეთი. მღვდელ-მთავარმა ვიბუკეში მოწინაა ფულები, მცერამ მას არ დაქსრო ამ დროს ორი მანეთი. წავიდა თავის ღაქასთან და კვლენათთან, მაგრამ არც მათ ჰქონდათ ორი მანეთი ფული. მიბრუნდა მღვდელ-მთავარი და ჰკითხა ქალს, თუ რათ ეტრებება მს ეს ორი მანეთი? ქალი მოუოეა: „მე, მამა ჩემო, მომიკვდა ქმარი. ძლივს კუბო ვივიდე და რც სწავრო იყო დანასრნით ვიშოვე; ვიშოვე იმდენი ფულიცა, რომ საფულავიც გაუტკრო, ესღა მღვდელი მიხთხოვ ორ მანეთს და კერსად ვიშოვე. არაფერი გამწინაა, თორემ გავვიდა. ერთი მორხა მცავს და ის რომ გავვიდა, რღვით უნდა ვასხრდლოვო ზავებუბი? არავის მასესს. თქვეითან ვასხუღვით და თუ მიბომებთ; მეუე ვიშოვი და მოვართმევ.“ მღვდელ-მთავარმა უთხრა დედაქალს: „ეს მართლია, დედაო, მაგრამ რა გენს, რომ არც მე მცავს ესღა ორი მანეთი, მაგრამ, არაფერია, მანც მოვკმანებო ამ ეტკირებაში. წადი შენ და მე თვითონ მოვალ და ვამრსვე შენ გარდაცვლდებულს.“ ამასთან გაუგზავნა მღვდელს კაცი და შეუთვალა, რომ ის მივა გარდაცვლდებულის განოსვენებაზე და მიელოდეს მას. მივიდა გარდაცვლდებულის სასლში; გარდაცვლდებული გასკენს, მეორე დღეს უწირა და შეძლებ წესის ატებისა მიშენიერი ღმობიერი სიტყვა სიტყა და გაუღდა სოფლამდის. დამარხვის შეძლებ ყველა მღვდელი, რომელნიც ღლამდა შეუარბინე, მიანტოვა თვითონ სხილზე. არც დამარხვის დროს და არც სხილზე მღვდელ-მთავარს არ წამოცთიანა ერთი სიტყვა, თუ რატომ მიიღო მან ამისთანა მოწაილეობა ამ დრობი კანცის დამარხვაში. ბოლოს მადლობა უთხრა ყველა მღვდელს და გაისტუმრა; დაიტევა მსოლოდ გარდაცვლდებულის მომღვარი და, რადესც აუერთსა და ისტუმრებდა, ხელში მისცა მას ორი მანეთი. მღვდელს მიწა რომ გასკდამოდა ურჩვენად. ეინემ მისჯა ორი მანეთი მიელო. მაგრამ მღვდელ-მთავარმა უთხრა: „მე ვემსახურე გარდაცვლდებულს ჩემის

ნებით და თქვენ სომ მავისთანა შემოსავლით ცხოვრებთ. რაღა ვამავრები გემღვჯათ, ეტერ რომ არ აიღოთ? რათი იცნოვრებთ თუ არა ამისთანა შემოსავლითა?..!

ტუსულ გაცეთს „ცერკოვანო ობშჩეტკენნი გესტნი“-ში კვითხულობთ შეძლებს ამახვს: „იალტაში, სმიფეროპოლის ოლქის სასამართლოს განყოფილებაში იყო ვარჩული ერთი საქმე, რომელმანც მიეღი სასოვადოების უურადლებს მიიციდა. აი საქმე რაში იყო: ბრადღებული იყო მღვდელი მ. ბირუეესკი, რომელიც სასჯელში იყო მიტეპული იალტის ზოლიციის პრისტაციის უზატორების მიეწებისათვის თანამდებობის აღსრულების დროს. მას ბირუეესკიმ აწკენს სასაჯულოში, რომ მან სთხოვა პრისტაციას, მღლიგინს, თუ როგორ უნდა მოტეკულიყო ის, რომ ღივადინო მისუღიყო, რომლის დავთავადიერება სურდა მას. მაგრამ ამ კითხვაზე უხრდელი მასსუნი გაცნა პრისტაციამ მას; რადეცნც მ. ბირუეესკიმ შენიშნა მას, რომ მას არა აწკეს უფლება ასე უზატოისნოთ მოკუწროს ვისმე, როგორც ზოლიციის პრისტაცი და ამისთანა მოტეკვა სრულებით შესაეუი არ არის ანაფორიანი მღვდლის. მღლიგინმა უთხრა მას: „უსუსუ-რ-ხუგეს არ შეუღლია მისთან კანდირად ღაზარკი და მსჯულობა, განსკუთრებით. ზოლიციის პრისტაციან. მასში გული მოუღიდა მღვდელს და, როგორც მოწმემაც აწკენს, გღაწმელა ასე: უწიდა მას „უსხრადელი“ და უთხრა. რომ ამისთანა სიტეკილისათვის ფაზად კარცს შემოტკეწენ, მაგრამ მას ნებას არ აძლევს მისი სარისხი და მეუე არა დირს ხელი გაისავროს კანცის იმისთანა პირზე, როგორც არის მღლიგინი. საქმიად გამომხნდა, რომ სიკელში სხვა რამეები დაქეწა მღლიგინს, რომელსედაც უხი გასურსდაც მოწმემამ. მ. ბირუეესკიმ წამომსთევა უგანსენელი სიტყვა სასაჯულოში. ამ სიტყვისაგან აღმომხნდა, რომ იგი იყო ამ უგანსენელი ომანობის დროს ზოლიკის მღვდელი. დასწრებულა ჩსუბუბი; აწკეს რამოღენიმე ნიშნები, ჟიღდობი; დაჭრილს ომში და ავთიმეოფობის მას აწკეთ. მოხულა იალტაში სჯეპითთ და აწ ამ პრისტაციის წყვლობით ბრადღებულებს სკამიე ზის მისთვის, რომ ამას უზატორება მიაწკენს პრისტაციამ! საქის წამომების დაწეებამდ მან მრავალი ტანჯვა აიტანა სმ მ. ბირუეესკის ღაზარკის დროს უგანალებდა და სმარად უწელებოდა. მსმეღებუბი ბუკის ტირილი მოუვიდათ. ნაფრამ კვეილებამ მღვდელი გაამართლეს.“ ვინ ატებს შახუსს ამ მღვდლის აძენ ტანჯვას? არავინ!

III განათლებისა.

სიხუცვა

ჩემული ნ-ს დეკემბერს 1883 წელს ქუთაისის კლასიკურ კემნაზიის კვლევისაში იმერეთის ეპისკოპოსის კაბრიელის მიერ რუსულ ენასე.

უმჯობეს არს მოკლებული სობრძნითა (სწავლითა) შიშითა (ღვთისა), ვიდრეღა წარმატებული სობრძნითა (სწავლითა) და გარდაამთომული სდელისა (სირას' 19, 21).

ცოდნა, სწავლა, განათლება აჭა უმთავრესი სერვილი და საზოგადო მეცადინეობა ახლა უოველითა კაცთა, განსაკუთრებით მშობელითა. ჩვენს საუკუნე მომეტებულიად განსხვავდება მისწრაფებითა სწავლისა და განათლებისადმი. ჩვენს დროში კაცი მოკლებული სწავლითა საკოდეც კაცთა ითვლება, ხოლო უმეტრება უოველივე ბოროტების წყაროდ; მსგავსადვე ამისა მეორეს მხრით უველთა ხალხის წოდებაში განათლების გავრცელება ითვლება წამალად უოველითა უბედურებათა. გარნა ზემოთ მოყვანილ სიტუებში ისე ზირაქი, რომელიც თავის დროში არა თუ განათლებულ კაცად ირიცხებოდა, არამედ უწოდებდნენ ბრძანად, თითქმის ამაღლებეს ცოდნას, სწავლას, როდე სასუ ამბობს: უმჯობეს არს მოკლებული სწავლითა, გარნა დვთის მოშიში, ე. ი. კეთილ მოქმედი, ვინემ წარმატებული სწავლითა და სჯულითა გადაამსთომი, ე. ი. უსჯული, მაგრამ ზირაქი აქ არ იწინებს სწავლას, არც ამას იტყვის, რომ სწავლა, ცოდნა თავის თავად უსარგებლო, ანუ მავნებელი იყოს; ის მხოლოდ იმ აზრს გამოთქვამს, რომ ერთსა მართო სწავლას, თვინიერ კეთილ ზნეობისა, არა აქვს დიდი ფასი. ამაზედ კი არ შეიძლება არ დავთანხმობს კაცი. ჩვენ კიდეც უმეტესად გავკადნიერდებით და დაუმატებთ, ანუ უმჯობეს არს თქმა, განვამტკიცებთ, აზრსა სირაქისა და ვიტყვი რომ ერთი მხოლოდ ცოდნა, ანუ განათლება, თვინიერ შესაფერი კეთილ ზნეობისა, მოუტანს საზოგადოებას და თვით სწავლის შემქნასაც უმეტესად ვნებს, ვინემ სარგებლობას. გარნა მაგიერათ თვითული თქვენთავანი დაუწონებლივ დაძვთანხმება, რომ უველაზე უმჯობესი და სასურველი ის არის,

როდეცაც კაცი მდიდარია ცოდნითა და მასთანვე მტკიცე ქრისტიანობრივითა ზნეობითა.

ძიართლა, ცოდნა არის მხოლოდ გზა, საშუალება, უმაღლესი მიზანისადმი მიმყვანებელი და იმედნად უნდა დაფასდეს იგი, რამედნათაც ეხმარება კაცს ამ მიზნის მიღწევად. რა არის მიზანი სწავლისა? სად უნდა მიიყვანოს კაცი ცოდნამ, სწავლამ? მე ვვიჭირობ, რომ აქ, ამ სასწავლებელში, რომელიმედაც მრავალნი უკმანნი ატარებენ თავისი ცხოვრების უკეთესთა წილთა გასამდიდრებელად და შესაძინად სხვა და სხვა სწავლისა, უადგილო არ იქნება მივაქციოთ ურადღება ამ კითხვებს. მაგრამ, სანემ ამას გადავსწავუტადეთ, მივაქციოთ ურადღება იმაზე, თუ როგორი წარმოდგენა აქვსთ სწავლის მიზანზე სხვა და სხვა სასწავლებელითა მოწყალებს. სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, მათ არა აქვსთ სახეში განსაკუთრებით უმაღლესი მიზანი სწავლისა. ისინი ზმირად ბეჯითად სწავლობენ, უდილობენ უოველივე დონის ძიებით შესრულონ კურსი სწავლისა მხოლოდ მისთვის, რათა მოიპოვონ რომელიმე უფლებანი, მაგალითად: შევიდნენ სამსახურში, მიიღონ ჯამაგირი, უდილო. ერთი სიტყვით ისარგებლობს სწავლითა, მხოლოდთა თავის ვარგევანი, ნივთიერი მდგომარეობის ამაღლებისათვის. მართალია, არ შეიძლება ვსთქვათ, რომ ცოდნა რაიმე იყოს, როდეცაც კაცი თავის განათლებით კანონიერად ისარგებლებს, თავის ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესოს. კიდეც საჭიროა და გარკი, რომ თვითული პირი სარგებლობდეს თავის ცოდნითა სხვათა შორის, გაუმჯობესობისათვის თავის ცხოვრებისა — და ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ დრობი კაცი უოველთვიერ გაჭირებულია და მისთვისაც არ შეიძლება თავისუფლად ლტოლვა და მიღწევა თვით იმ უმაღლეს ქრისტიანობრივი მიზანისათვის, რომელზედაც ჩვენ ვამბობთ. მაგრამ მაინც უოველ შემთხვევაში სამწუხაროა, როდეცაც ვნებათ, რომ ნამეტანი ნაწილი სწავლელითა დაძვარებული არიან სწავლის დაბალ მიზანზე. არა ამაში მდგომარეობს უმაღლესი მიზანი სწავლისა და განათლებისა, და ფრინად სამწუხაროა და გასაკვირვა, როდეცაც განათლებული კაცი მხოლოდ ამ მიზნისადმი ილტვის. სანუგემოდ უველთა სასწავლებელში არიან არა მცირე რიცხვი ურამათა. რომელიმე სწავლობენ ბეჯითად და ერთ გულთა მხოლოდ მისთვის, რომ თვით



სწავლა ანუგეშებს მათ. მართლა, ვის სწავლიყო თავანს არ გამოუცდია, თუ როგორ სსსიამოვნოა სხვა და სხვა საგნების შესწავლა, და შეძენა ცოდნისა სხვა და სხვა საგანთაზედა. თვით დამერთმა დაწერდა გაცის სუღში მისწრაფება ცნობისადმი და არ შეიძლება არ გავისაროთ იმ ბავშვებზე, რომელთაც სწავლის შექმნა განსარებს და ყოველივე წარმატება საგნებში განადვილებს უმეტესსა მეცადინეობას. ამისთვის მართლად ამბობენ, რომ სწავლა, განათლება თავის თავად კარგია და სსსარგებლო, რადგან ადამადლებს და უმადიდებებს გაცის გონებას, მაგრამ მაინც არ შეიძლება ვსთქვათ, რომ იგი თვით იუოს მიზნად თავისა მისისა. არა! იმან უნდა მიიყვანოს გაცი მეორე და უმადლესი მიზნისადმი და ეს უმადლესი მიზანი არა სხვა რაიმე არს, გარნა ზნეობითი განვითარება და გუჯობესობა გაცისა.

განათლება მართლ მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი, რომელიც ადამადლებს და გააკეთილებს გაცსა ყოველის მხრით და არა მხოლოდ ერთსა, თუ გინდა უმადლეს, მისსა ბუნების მხარესა. თვითონ სწავლა ამის ორპირიგანი იარაღი, შეიძლება გაცმა მოისმაროს ის კეთილ საქმეზედაც და ბოროტზედაც, სსსარგებლოდ და სსსარგებლოდ თავისა თვისისა და სხვათა. საქმე უმადლესისა სიტყვაზე, ცხოვრება უძვირფასესისა სწავლაზე. სწავლამ, განათლებამ უნდა გააუჯობესოს ყოველნი საქმენი ჩვენნი, მთელი ჩვენი ცხოვრება. რა სსსარგებლოა, როდესაც გაცის გონება სავსეა მრავალი გვარი ცოდნითა, ხოლო მისი საქმე და ცხოვრება სრულებით არ განსხვავდება უსწავლილ გაცთა საქმისა და ცხოვრებისაგან. ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად სვლისაგან საქმენი მისნი (იაკ. მ. იგ.) იტყვის წმ. იაკობ მოციქული.

უა თქვენც, სსსავარელინო მოწაფენო ამა სსსწავლებლისა, როდესაც შეხვალთ ცხოვრებასა შინა, დაუმტკიცეთ ყველას თქვენი განათლება თქვენითა საქმითა და ცხოვრებისაგან. ვკჷმანდესთ სახეში, რომ ახლაც, ჩვენს დროში, ბევრნი არიან, რომელნიც ეჭვით უყურებენ სწავლას და განათლებას. უმეტეს ამისა, ახლა ბევრნი არიან ისეთნი პირნი, რომელნიც არა თუ ამდებლებენ სწავლას, არამედ პირ და პირ მავნებელად სთვლიან ახლანდელსა განათლებასა. მრავალნი

და ისიც არა უგუნური გაცნი პირ და პირ ამბობენ, რომ ახლანდელი განათლება აფუჭებსო ხალხს და მის ზნეობასო. ძლიერ სსწყენისა ეს აზრი ჩვენთვის და მათთვის, რომელთა მრავალნი წელი სიჭაბუკისა გავტარებია სწავლაში. მაგრამ უნდა გამოვსტყუდეთ, რომ ესაა მრავალნი ერთეულ წოდებული განათლებული პირნი, აძლევენ მიზნებს ამის თქმად არა მოსაწონითა მათითა ყოფაქცევითა. განმეორებით მოვიტყვი თქვენდამი, სსსყვარელინო მოწაფენო, ეცადეთ გაამართლოთ წინაშე ყოველთა გაუნათლებელთა პირთა სარგებლობა სწავლისა თქვენი კეთილი, პატრიარხური და ქრისტიანული ცხოვრებით. ამინ.



სახე უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩამენსა იმსო ქრისტისი, ზამოკარბული ძველთა რომაელთა ხელთნაწარმოვან. \*)

ბიდიასა და ზატეგეჟელისა სესატიასადმი რომელთასა, მმართებულსა იუდიანთასა მსურს მიკვადობა ტროას ჩვენსა გამოცხადდა, და აწცა არს ჩვენ შორის გაცი, განსხვავებული კეთილ-მოქმედებითა. და იწადების მას იესო ქრისტე: ერთი რაცნს მას წინასწარმეტყველდა ქმარობისა, და მოწაფენი ამის მამა კაცისანი დინს-ჭეოფენ მას წოდებულ მედ ღვთისად; იგი აღადგენს ქველანთს, და ჭეურებს იოაკიმ-გვართა სსსეულებათა; გაცი ესე დიდ და უმადტუბულს არს სსსილგელობითა და არს ესე ვითარებენ.

ჩინცა იხილავს მას, მესხეჯ იერონოსა თავსა შორის თვისსა მისდამი ზატევის-ტემასა შიშითურთ. იგი განსსავტუბულ-არს დინსჭეოთა, თმანი მისნი არიან შეიძლებელისა წადისა ფერ, თანსწორ ვიდრე უყურებდამდე და ყურთაგან ვიდრე ქვემადდე სსსეულები მტეჟენი და ბრწყინვალენი და მოკეტენი ვიდრე სრებადმდე, ხსაჟალ თავსა მისსა განიყოფიან ორ კერმად ჩეეულებასაებო ნასარე-

\*) იმ დროს, როდესაც რომის იმპერიას განაგებდა კესარი ოქტავი ავგუსტო, ყველა უბრატუნნი განგებულნი რომის იმპერიის სამთავრობისა ვადლებული იყვნენ მოქმედებითა სხვა და სხვა უმთხვევანი, რომელიც მოხდებოდა მათ სამთავროებში. ამ დროს იუდიანთა სამთავროში იყო სენატორად სენატორი ლენტუსი, რომელმაც საჭიროდ დაინახა, მოეხსენებია რომის სენატოსთვის გამოცხადება ქვეყანაზე იესო ქრისტისი, როგორც მისის აზრით, ღმრთ-შესანიშნავი. ამ მოხსენების ნამდვილი არის დასწერილი ღიათიერ ენაზე. ღიათიერ ენადამ არს გადათარგმნილი რუსულ ენაზე და იქიდან ქართულ ენაზეც არის ვადათარგმნილი.

ველთას. შუბლი მისი თანასწორ არს, არა რა არს მის ზედა ნიშნითაცანი. იგი შეიქმულ არს ზატოხსნებითა და სიმშვიდითა. ზაგანი და ცხვირი მისი არაან მშვენიერად დაწყობილ; წვეროს მისსა აქეს კვე ვითაროვე ფერი. ვითარცა თბათ თავის მისისათა, და არს იგი მოსქე, გარნა არს გრძელ და ბოლო განყოფილ. მიმომსუველობა მისი მწუნარ და ღამამტვირტეულ თვის შორის ჩინებულებათა სრულადს კაცობრიობისათა: იგი არს მშვიდ და სხამო მოძღვრებათა შინა, გარნა რომაერთათა მრისხსნებითა: იგი მხარულ არს თვინიერ დახსნას ჩინებულებათა თვისთა; არაგინ ახალაგს მის თითქმის მოციინარად, გარნა სშირადრე იხილენ მტირალს; სკლნი მისნი არაან სხალიველად სსამოხუნონი, მეტეველებს არა მრავალს, გარნა მეტეველებანი მისნი არაან ხაუფუძლიანნი; მოკლე ვბთქეა, კაცი ესე იმკნების უადრეს ყოველთა მეთა კაცთას, და იხილუკების მის შორის ჭეშმარიტებას, რომელს შინა არს არს სიგრუე!

ღ მ მ რ თ ი.

იმერთო ძლიერო, მიუწითომელო  
 აკის გონებით, ქუთით ჰაზრითა,  
 შეკედეო არსო, განუსაზღვრელო,  
 ზეცით მზირალო შენ დიდებით!

შენ ხარ სინათლე, რომლიდგან ჩვენა  
 მამოგვიბრწყინდა ერსა ნათელი;  
 დასაბამიდგან საუკუნო ხარ:  
 იყავ, იქნები და ხარ მყოფილი.

ჩითარცა ცვარი ზღვაში ვარდნილი  
 მგრეთ ანათებს შენ წინ ქვეყნა,  
 მაგრამ მითხარი, გამომიცხადე,  
 შენ დიდების წინ, რა ვარ თვით მენა?

წრაფერი ვარ, მაგრამ შენ ჩვენში,  
 მითა მზე, ვერგ დიდებით ბრწყინავ,  
 შენსა წმიდასა, მიუწითომელსა,  
 საღმრთო სახესა ჩემშიდა ჰხატავ.

ჩე არაფერი არ ვარ შენ წინა!  
 შენის დიდებით ვარ დასახული,  
 შეკედეო სული დედის საშოში  
 შენ მიერ, ლმერთო, მაქვს შთაბერილი.

შა იგი სული ჩემს სიკაცხელსა  
 ძალოსა აძლევს და აცისკროვნებს,  
 მაგრამ იგიცა, საუბედუროდ,  
 საშიდა წავა, ლემს მიმიტოვებს.

ოუმც მე უწენთ შემედლოს რამე,  
 რათ არ აღესდგები. მკედრებით კვალადა.  
 რისთვის შთაგნდები მიწისა ღრეში  
 ლემის დასალობა— დასაღობადა?

წრა შეუძლიან კაცის გონებას,  
 რომ გამოხატოს შენი დიდება,  
 ან თვისის სუსტის მკვერ-მეტყველებით  
 შენ აღმოგიზუნვას ზეცადა ქება.

ძხოლოდ ვისაც სურს შენი ვედრება,  
 ხამს მან აღიპიროს მაღლადა ხელნი,  
 ბადილს, გაქვს გულს მოდღინებით  
 და შენ წინ ღვაროს სიმაართლის ცრემლი.  
 ი. ფერაძე.

ნ ა ნ გ რ ე ვ ი ს ა მ ღ ა რ ი.

ბალოს მთაზედა სდგას ერთი ციხე  
 ღიდი, ნანგრევი, ძველი, ხნიერი.  
 მოწამედ მტკიცის სარწმუნოების  
 შიგნით საყდარი არს მშვენიერი.

წმ საყდარშიდა არს ორი ხატი  
 ილიასი და ლეთის-მშობელისა,  
 ალარა ბრწყინავს მათ წინ სანთელი;  
 ხმა აღარ ისმის მგალობელისა.

წლარ არიან მაშიდა ერნი  
 ზულის მტკიცენი თვის მამულისა  
 და მხურვალისა, წრფელის ვედრების  
 აღმავლენენი წინაშე ლეთისა.

ძაშიდა მდგომნი, მავერებელნი  
 აღარ ერსავენ საკმეველის სუნსა,  
 არღა უმზერენ იმის ტრაპეზსა,  
 წმიდა ხატებით მას შემკობილსა.

ოუნდ დაივიწყოს იგი სუყველამ,  
 თუნდ ნუ მოხვდონ მის არე-მარეს,  
 მაგრამ მაშიდა მაინც რალაცა  
 თეითა „მაღალი“ დაისადგურებს.

ქ საიღუმლო ხმა გვიქადავებს  
 ხმა ხან მკენესავი, ხანაც მწუხარე:  
 „არ დაივიწყოთ, მარად გხსოვდეთ  
 მტერთგან ნაწამი ეს თქვენი მხარე!“  
 ი. ფერაძე.



### IV განმეოფილება.

მართლმადიდებელის ეპარქიის ღვთის მსახურების ტიპიკონის ზომიერადი კითხვების აღხსნა და განმარტება.

როგორ უნდა ათქმეონის აღსარება მომღვარბე ერუსს და მუნჯსა.

ბუნჯთა და ყრეთა არ შეუძლიათ, რომ ხატეფა განმოთქან და აღსარება უთხრან მღვდელსა. დამოთი არსი-ოღეს არ მოითხოვს განცხადან შეუძლებელს და აღსარებათი მიუცილებელი მოვალეობაა განცხადების სთქვას მომღვარბეთან. ამისთვის თუ წერა იცის ყრუმ და მუნჯმა, ამ საშეალებით შეუძლიათ მომღვარბე ათქმეონის აღსარება მოხსნებულს; თუ წერა არ იცის აღმსარებელმან, შეიძლება მღვდელმა იკმაროს ნიშნების ჩვენებაც. თუ აღმსარებელი ანიშნებს მას, რომ იგი სწუხს თავის ცოდვებზე და თისთვის შენდობის მიცემას. ამ შემთხვევაში აღმსარებელის მოხსენიებასთან უნდა შეინჯვდეს მომღვარბე ის ნიშნები. რომლებთანაც ყრუს და მუნჯს ანიშნებენ. თუ წერა იცის მასთან კითხვები უნდა დაწეროს და ისე გამოხატოს მომღვარბე.

როგორ უნდა მოიქცეს მომღვარბი, როდესაც აღმსარებელის ენა სრულებით არ ესმის?

ამ აღმსარებელმა სრულებით არ იცის მომღვარბის ენა, მასთან შეიძლება მომღვარბე იკმაროს სჯელის ნიშნობით გამოთქმული აზრი აღმსარებელისა, თუ იგი გამოხატავს, რომ ცოდვილთა ღვთის წინაშე და თისთვის ცოდვათა მიტეკვას. რთი არ არის, რომ მთარგმნელის საშუალებით ათქმეონის აღსარება. მაგრამ თუ აღმსარებელი ავით არის ხსიკედინოდ, ამისთან ეკვი არის მის ზნობითი ცხოვრებაზე. მასთან შეიძლება მღვდელმა მოისმაროს თარჯიმანი. ამ შემთხვევაში თარჯიმანი ვალდებულია, საიდუმლოთ შეინახოს ყოველი შეტყობილი საიდუმლო აღსარების თქმის დროს. მღიერ კარგი ექმნება, თუ ისე მასსერებს მღვდელი, რომ თარჯიმანს არ ეცოდინება აღმსარებელი.

როგორ უნდა მოიქცეს მომღვარბი, როდესაც აღმსარებელი უკანასკნელ მღვთმარებაში იმყოფება?

ამ აღმსარებელმა ცნობის დაკარგვის გამო ვეღარ დახსრულა აღსარება ვრცლად, მომღვარბე არ უნდა დაუყნოს შენდობის მიცემა მობრუნების იმედით. თუ მღვთმარბი დარწმუნდა, რომ აღმსარებელი სწუხს თავის

ცოდვებზე. მაგრამ გამოთქმა აღარ შეუძლია, მასზე უნდა მისცეს შენდობა და წაუთხოოს განხიხს ღოცვა.

ერეთე უნდა მოიქცეს მღვდელი იმ შემთხვევაში, როდესაც აღმსარებელი მღიერ დახსრტებულია და ღმარბის ღონე აღარ აქვს.

როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი უმღვარბი შემთხვევების დროს, თუ აღარ არ აქვს და განცხადების მოწინაველი საიკედელი.

ამისთან შემთხვევაში, მღვდელი, როდესაც განცხადება დადგინდება, ახუ რინის ესასე მოამდარი შეუძლებს განცხადებას მოხსნადნელია ჩქარი საიკედელი, მასთან მღვდელმა უღვარბოთ უნდა წაუთხოოს შენდობის და ცოდვათა განხიხს ღოცვა.

ვალდებულია თუ არა მღვდელი განცხადების ზოლიცის განცხადების მკვლელებს, რომელიც შეიტყო მან აღსარების დროს?

ხაკვლისია და სამოქალაქო კანონთა დადგენილობაში არი შემთხვევა არის მარტო ნაჩვენები, რომელსედაც მომღვარბი ვალდებულია აღსარებით შეტყობილი ცოდვა აცნობოს მთავრობას, როდესაც მღვდელი შეიტყობს აღსარებაში ბოროტ განხრახსულებას სელმეფის წინააღმდეგ და ხალხში მოხსნადნ ცუდი განხრახსულებას მართლმადიდებელი ეკვლისის წინააღმდეგ, მასთან მღვდელი ვალდებულია აცნობოს მთავრობას ამ ბოროტ განხრახსულებასზე და ამით ცუდი რამე მოსალოდნელი აღარ მოჰხდეს. ამით გარდა რაც უნდა შეიტყოს მღვდელმა აღსარებაში, ვალდებულია საიდუმლოდ დაიცვას.

მღვდელი, რომელიც მსურველს აღსარებას არ ათქმევინებს და განუხსნარბოთ მოკვდეს, დათხოვილი უნდა ექმნეს თანამდებობისგან და ზრინტნივის ადგილზე ჩამოყვანილი. ამავე სსკვლეს მიეცემა ის მღვდელიც, რომელიც აღსარებას განთქვამს.

ყოველი მოწამე, რომელსაც ხამს წელში არ უთქვამს აღსარება, შეუძლია წინააღმდეგმა მხარემ გადაწყვიტოს ჩვენებისგან და ფიცისგან. უქ. უწ. სინ. 1745 წ.